*დანართი №2*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება

1. მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა
2. სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა
3. სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

6.04.2023-7.04.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

21.05.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ................................4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა...........................................6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ........................................15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.........................................................................................15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა........................................................................................48

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა............................66

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ...........................................................75

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....................................104

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211349192 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა დევიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვალერი არღუთაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა ლეკიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარიამ ალექსიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურება | სასტუმრო მომსახურების მართვა | მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი | | | | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ტურიზმის ბაკალავრი | ტურიზმის მაგისტრი | ტურიზმის ბაკალავრი | | | | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება | | | | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | | | | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 | 240 | | | | |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით | აკრედიტებული | აკრედიტებული | აკრედიტებული | | | | |

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | გადაწყვეტილება № 50, 19 .07 2016 წელი | გადაწყვეტილება № 51 19 .07 .2016 წელი | გადაწყვეტილება №722884. 24 .08 .2020 წელი | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტურიზმის კლასტერში გაერთიანებულია შემდეგი სამი პროგრამა: მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო და სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამები. პირველი პროგრამა უნივერსიტეტში ფუქნციონირებს 2020 წლიდან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №722884 24.08.2020 წელი), ხოლო უკანასკნელი ორი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ფუნქციონირებს 2016 წლიდან (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 50, 19.07.2016 წელი; აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 51 19.07.2016 წელი). ტურიზმის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები დაჯგუფებულია შინაარსობრივად და კონცეპტუალურად, არის ერთმანეთთან დაკავშირებული და აქვს საერთო მახასიათებლები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 3 23 0000209651 (22/02/2023) თანახმად, 2023 წლის 6-7 აპრილს სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კლასტერული საბაკალავრო (მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი, სასტუმრო მომსახურება) და სამაგისტრო პროგრამების: (სასტუმრო მომსახურების მართვა), შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: დავით სიხარულიძე, ეკა დევიძე, თამთა ლეკიშვილი, ვალერი არღუთაშვილი და მარიამ ალექსიძე. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო კლასტერულად დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამების თვითშეფასების

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულპერსონალთან,პროგრამების სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან.
დასასრულს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო, მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის და სასტუმრო მომსახურების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

**პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია,

1.2 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

1.3. კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

1.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

1.5 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისათვის, ხოლო დანარჩენი ორი პროგრამისათვის სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**მეორე სტანდარტი** სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის და სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა, ხოლო სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამისათვის სრულ შესაბამისობაშია.

2.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**მესამე სტანდარტი** სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**მეოთხე სტანდარტი** სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.5 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

**მეხუთე სტანდარტი** სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.1 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთა

5.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

### კლასტერის საერთო რეკომენდაციები

### სტანდარტი 2

1. რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.
2. ,,რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები“.
3. რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

### სტანდარტი 5

4. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის და დამსაქმებლების ჩართულობის გაძლიერება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში.

### კლასტერის საერთო რჩევები:

### სტანდარტის 1

- სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა ვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.

### სტანდარტი 5

- სასურველია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩართულობის გაძლიერება პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე;
- სასურველია კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ცალკეულ სამუშაო ჯგუფებს გააჩნდეთ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია და საერთო ზოგადი ხედვა, პროგრამების კლასტერულად განვითარების თვალსაზრისით.
- სასურველია თითოეული პროგრამების განვითარების მიზნით გარე შეფასებებით მოხდეს გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, შეფასებები იყოს უფრო დეტალური, სიღრმისეული და გვაძლევდეს ნათელ სურათს პროგრამების გაუმჯობესების გზების შესახებ;

### რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

## რეკომენდაციები

### სტანდარტის 1

**პროგრამა 1** (პროგრამა 1 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმროს მომსახურება”)

5. რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა: ,,სასტუმროს სერვისები, ტურიზმის და სასტუმროების ეკონომიკა, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი, კვლევის მეთოდების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ტუროპერეიტინგი, MICE ტურიზმი და ღონისძიებების მენეჯმენტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში, პრაქტიკა, კულტურული ტურიზმი, გარემო და ეკოტურიზმი, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საბაკალავრო ნაშრომი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში” განისაზღვროს ადეკვატური დაშვების წინაპირობები.

**პროგრამა 2** (სასტუმრო მომსახურების მენეჯმენტი, მაგისტრატურა

6. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დეტალური ინსტრუქციის გაწერა, სადაც მოცემული იქნება კვლევის განხორციელების სტანდარტების მიხედვით კვლევის პროცესის ყველა ეტაპი (ლიტერატურის ანალიზი, ჰიპოთეზების და საკვლევის კითხვების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, ციტირების სტილი) და ასევე რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომში კვლევის კომპონენტების გაძლიერების მიზნით.

**პროგრამა 3** („მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი”)

7. რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში გადამოწმდეს და სწორად განისაზღვრის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (გასტრონომიული ტურიზმი, MICE ტურიზმი, ტურისტული მომსახურების ხელოვნება, ბრენდმენეჯმენტი, საკურორტო ტურიზმი, ელექტრონული კომერცია ტურიზმში, ეკო-სასოფლო ტურიზმი, აგრო-ფერმერული ტურიზმი, მთის რეგიონალური ტურიზმი.

**პროგრამა 3 „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი”**

8. რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების: ,,აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი

გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და ა.შ." სილაბუსების თემატიკა და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა.

### სტანდარტი 2

**პროგრამა 1** (სასტუმრო მომსახურება, ბაკალავრიატი)

9. რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.

### რჩევები

### სტანდარტის 1

**პროგრამა 3 „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი"**

- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ლიტერატურის განახლებასთან მიმართებით ქმედითი ღონისძიებების (მუდმივი/სისტემატური) გატარება

### სტანდარტი 2

**პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების მართვა, მაგისტრატურა)**

- სასურველია, განისაზღვროს და გასაჯაროვდეს ,,ინგლისური ენის B2 დონის" დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდებიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გამოცდის ვალდებულებისგან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[3]

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**არგუმენტირებული პასუხის საფუძველზე რეკომენდაციის** ,,რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინსტრუმენტები; სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და მათი სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი”. ფორმულირება განხორციელდა შემდეგი სახით:

,,რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები“.

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ

2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |

მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კლასტერულად დაჯგუფებული პროგრამები: სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო, სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო და მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები გაერთიანებულია ტურიზმის კლასტერში. სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამა ფუნქციონირებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 წლიდან, აკრედიტებულ რეჟიმში, ხოლო მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ფუნქციონირებს 2020 წლიდან.

ტურიზმის კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები დაჯგუფებულია შინაარსობრივად და კონცეპტუალურად, არის ერთმანეთთან დაკავშირებული და აქვს საერთო მახასიათებლები. სამივე პროგრამას აქვს მიზანი,

მოამზადოს ტურიზმის და სასტუმროს მართვის სფეროს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების მქონე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ტურიზმის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები ძირითადად, ეყრდნობა ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელს. კლასტერში გაერთიანებული პროგრამების მიზნები რეალისტურია, არის ჩამოყალიბებული ნათლად და მიღწევადია. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნები ასახავს ბაკალავრისათვის და მაგისტრატურისათვის შესაფერისი დონის ცოდნას და გვიჩვენებს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამების მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ასევე, ძირითადად, შეესაბამება ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივ სტანდარტს. კლასტერში გაერთიანებული პროგრამები მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)[6]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ინტერდისციპლინარული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი" მიზანია მოამზადოს მუნიციპალური, რეგიონალური და საერთაშორისო დონის შრომის ბაზარზე ორიენტირებული ტურიზმის ბაკალავრის

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

აკადემიური ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მთის მდგრადი ტურიზმის თეორიებისა და პრინციპების მცოდნე სპეციალისტი, რომელიც საკუთარი კონცეფციის ფარგლებში შეძლებს გაანალიზოს შეაფასოს ჩამოაყალიბოს არგუმენტირებული დასკვნები მთის მდგრადი ტურიზმის განვითარების პრიორიტეტულ დარგებში. აღნიშნული პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული. მიზნიდან ჩანს, რომ პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, რომელსაც ექნება თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, როგორც ზოგადად ტურიზმის სფეროში, ასევე მის ერთ-ერთ სპეციფიურ მიმართულებაში, როგორიცაა მთის ტურიზმი. მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან. ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის კვლევის შედეგები იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ტურიზმის დარგში მიმდინარე ტენდენციების და მოთხოვნად კომპეტენციების შესახებ, ვფიქრობთ შრომის ბაზრის დოკუმენტის გაცნობისას ვფიქრობთ, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით საჭიროებს შრომის ბაზრის კვლევის ინსტრუმენტების დახვეწას სანდო და ვალიდური შედეგების მისაღებად.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია მოცემულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სადაც ინტერნაციონალიზაცია პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული. აღნიშნული პროგრამა არის საჯარო და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** ( სასტუმრო მომსახურება, ბაკალავრიატი)[7]

სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამას გააჩნია სამი სპეციფიური მიზანი. კერძოდ პროგრამა მიზნად ისახავს (1) ტურიზმის დარგის ფართო ცოდნით აღჭურვოს

[7] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

კურსდამთავრებული და შესძინოს ტურიზმის პოლიტიკის, მართვის, პრაქტიკული კვლევისა და დაგეგმვისათვის საჭირო ცოდნა და უნარები, ჰუმანიტარული, სოციალური, ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო და სხვა დარგების ინტერ დისციპლინური სწავლების ჰარმონიული და ზომიერი კომბინაციით. (2) აღჭურვოს ტურიზმის სფეროს ორგანიზაციებსა თუ პროფილურ სტრუქტურულ ერთეულებში ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მდგრადი დაგეგმვის, ორგანიზების, განხორციელებისა და კონტროლის პროცესების გეგმიურად მართვის უნარებით, საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით. (3) შეუქმნას კურსდამთავრებულებს ტურიზმის მიმართულებით სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი.

აღნიშნული პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, გაზომვადია და მიღწევადი. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, ასევე ადამიანური და ფიზიკური რესურსები იძლევა პროგრამის მიზნის მიღწევის საშუალებას. პროგრამის მიზნების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლები. დაწესებულებამ ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გაუმჯობესების და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა.

გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა თანამშრომლობის პრინციპების დაცვით, რომელსაც კოორდინაციას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულნი იყო აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მეტნაკლებად დამსაქმებლები.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტად განსაზღვრულია, ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (სასტუმრო მომსახურების მართვა, მაგისტრატურა)[8]

---

[8] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

სასტუმროს მომსახურების მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია სამი სპეციფიური მიზანი. პირველ მიზანში ვკითხულობთ, რომ პროგრამა უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროს და მისი სპეციფიური მიმართულების ღრმა და სისტემურ ცოდნას, პროფესიული უნარების აღჭურვას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. მეორე მიზნის მიხედვით პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბოს ადგილობრივ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ტურიზმის სტრატეგიის დაგეგმვის მართვისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის საკითხებზე მუშაობის, ტურიზმის ორგანიზაციებსა და სასტუმროს ობიექტებზე ინოვაციური საქმიანობისა და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარები. მესამე მიზნის მიხედვით კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდგომ საფეხურზე სწავლის/კვლევის გაგრძელებისა და პროფესიული განვითარების დამოუკიდებლად წარმართვის მყარი საფუძველი.

აღნიშნული პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, გაზომვადია და მიღწევადი. პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი ასევე ადამიანური და ფიზიკური რესურსები იძლევა პროგრამის მიზნის მიღწევის საშუალებას. პროგრამის მიზნების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლები. დაწესებულებამ ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის ბაზრის ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები
- დაწესებულების ვებ გვერდი: https://gtu.ge/

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების დახვეწა კვლევის შედეგების სანდოობის გასაზრდელად.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 3** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 4** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 5** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 6** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 7** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 8** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება** [9]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაში მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში |
|---|---|---|---|---|

[9] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| | | | | მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სასტუმროს მომსახურების საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სასტუმროს მომსახურების სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კლასტერში გაერთიანებული მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროს მომსახურების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და ითვალისწინებს ტურიზმის დარგობრივ მახასიათებლებს.

სწავლის შედეგები სამივე პროგრამაში წარმოადგენს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ერთობლიობას, რომელთაც კურსდამთავრებულები შეიძენენ. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროებთან. ასევე, იძლევა საშუალებას, კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელოს შემდეგ საფეხურზე. ტურიზმის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები ძირითადად, ეყრდნობა ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

,,მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია 10 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგები არის გაზომვადი. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები. სწავლის შედეგები არის რეალისტური და მიღწევადი, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსები სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროს დარგობრივი მახასიათებლები და ეყრდნობა

კვალიფიკაციის ჩარჩოს. ასევე გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დასაქმებულები მეტნაკლებად იყვნენ ჩართულები პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში.

სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება მოცემულია სწავლის შედეგების რუკის საშუალებით. მიუხედავად იმისა, მთლიანობაში მიმართება ლოგიკურად არის წარმოდგენილი, თუმცა გვხდება გარკვეული შეუსაბამობა, როგორც სასწავლო კურსა და სწავლის შედეგებს შორის მიმართების კუთხით ასევე, სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება განმტკიცება) ლოგიკაში.

**პირველი სწავლის შედეგია:** ,,განმარტავს ტურიზმისა და მასპინძლობის არსებულ ძირითად ცნებებს, თეორიებს და მთის მდგრადი ტურიზმის უსაფრთხოების ზოგად დებულებებს, მთის ტურიზმში არსებული საფრთხეების სახეობებს, ბუნებრივ საფრთხეებს და მათგან დაცვის საშუალებებს“. გაუგებარია შემდეგი სასწავლო კურსები თავისის შინაარსის სწავლის შედეგებისა და მიზნების გათვალისწინებით, როგორ გადის აღნიშნულ სწავლის შედეგზე: მათემატიკა 1.1, საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მომხმარებლის ქცევა, ბრენდ მენეჯმენტი, ბიზნეს ეთიკა და კორპორატიული პასუხიმგებლობა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.

**მესამე სწავლის შედეგი:** ,,განიხილავს საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებულ ძირითად მიმართულებებს, ტურისტულ სფეროში/მთის ტურიზმში არსებულ სამართლებრივ საკითხებს, ტურიზმის/მთის ტურიზმში არსებულ უსაფრთხოების საკითხებს“: გაუგებარია აღნიშნული სწავლის შედეგთან შემდეგი საგნების მიმართება: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, კრიტიკული აზროვნების საფუძვლები, ბრენდ მენეჯმენტი, ლოგისტიკა, სადაზღვევო საქმის საფუძვლები, კვლევითი და სარესტორნო მომსახურება, ადამიანური რესურსების მართვა.

**მეოთხე სწავლის შედეგი:** ,,იდენტიფიცირებას ახდენს სტუმარ-მასპინძლობაში მთის ტურების შემუშავებისას მთიანი რეგიონის მოსახლეობის კულტურულ, ისტორიულ ორგანულ, ტრადიციულ, ეთნიკურ და რელიგიურ თავისებურებებს. გაუგებარია აღნიშნული სწავლის შედეგთან შემდეგი საგნების მიმართება: საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები, ეკონომიკის პრინციპები. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.

**მეშვიდე სწავლის შედეგი:** აფასებს მთის ტურიზმის მდგრადი განვითარების პრობლემებსა და ინდიკატორებს და პრაქტიკული სამუშაოების მეთოდის თეორიული ცოდნის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. გაუგებარია აღნიშნული სწავლის შედეგთან შემდეგი საგნების მიმართება: საბუღალტრო საქმის საფუძვლები, ეკონომიკის პრინციპები, საქართველოს ისტორია და კულტურა, მარკეტინგის საფუძვლები, სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები, მომხმარებლის ქცევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სასტუმრო მომსახურება, ბაკალავრიატი)

სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია 9 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგები არის გაზომვადი. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული აქტიური ზმნები. სწავლის შედეგები არის რეალისტური და მიღწევადი. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროს დარგობრივი მახასიათებლები და ეყრდნობა კვალიფიკაციის ჩარჩოს. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და დასაქმებულები მეტნაკლებად იყვნენ ჩართულები პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში.

სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართება მოცემულია სწავლის შედეგების რუკის სახით. მიუხედავად იმისა, მთლიანობაში მიმართება ლოგიკურად არის წარმოდგენილი, თუმცა გვხდება გარკვეული შეუსაბამობა როგორც სასწავლო კურსა და სწავლის შედეგებს შორის მიმართების კუთხით ასევე, სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება განმტკიცება) ლოგიკაში.

**სწავლის შედეგი 1. აღწერს სასტუმროს მომსახურების სფეროსთვის აუცილებელი სერვისების განხორციელების (დაჯავშნა, განთავსება, კვება, ღონისძიებების ადმინისტრირება, კვების უსაფრთხოება) მეთოდებსა და ტურისტული საქმიანობის განხორციელების პროცესებს.** აღნიშნულ სწავლის შედეგთან მიმართებით გაუგებარია შემდეგი სასწავლო კურსები თავისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მიზნების გათვალისწინებით, როგორ გადის აღნიშნულ სწავლის შედეგზე: სტატისტიკა ტურიზმისათვის, ადამიანური რესურსების მართვა და სამეწარმეო სამართალი. გარდა ამისა გაუგებარია სასწავლო კურსები ,,სტატისტიკა ტურიზმისათვის“ და ,,ადამიანური რესურსების მართვა“ რა პრინციპით ამტკიცებენ აღნიშნულ სწავლის შედეგს.

**სწავლის შედეგი 2: ,,განიხილავს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში ძირითად ცნებებსა და თეორიებს; საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტულ ბაზარზე არსებულ ძირითად მიმართულებებს; ტურიზმის დარგის სამართლებრივ, ეკონომიკურ-ფინანსურ, სოციალურ-კულტურულ, გარემოს დაცვით და სხვა საკითხებს, რომლებიც განაპირობებენ ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების მდგრად დაგეგმვას, განხორციელებასა და მართვას".** გაუგებარია აღნიშნულ სწავლის შედეგს ფინანსური მენეჯმენტის სასწავლო კურსი რა პრინციპით ამტკიცებს. გარდა ამისა, ფინანსურ მენეჯმენტი ისწავლება მეშვიდე სემესტრში და ემსახურება სწავლის შედეგის განმტკიცებას, მაშინ როდესაც კულტურული ტურიზმი, გარემო და ეკო ტურიზმი, სამკურნალო გამაჯანსაღებელი ტურიზმი ისწავლება მერვე სემესტრში და აღნიშნული სწავლის შედეგის გაღრმავებას ემსახურებიან. ამგვარად, სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკა შემდეგნაირად გამოიყურება: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება და შემდეგ ისევ გაღრმავება და შემდეგ ისევ განმტკიცება. იგივე მდგომარეობაა მეოთხე, მეხუთე, მეექვსე მეშვიდე და მერვე სწავლის შედეგთან მიმართებით.

**სწავლის შედეგი 3: ახდენს საქართველოს აგროტურისტული, ეკოტურისტული და რეკრეაციული რესურსებისა და პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირებას.** გაუგებარია სასწავლო კურსები, როგორიცაა კვლევის მეთოდების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ოპერაციათა მენეჯმენტი, ფინანსური მენეჯმენტი რა ლოგიკითა უზრუნველყოფენ აღნიშნულ სწავლის შედეგის მიღწევას.

**სწავლის შედეგი 7: წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დამოუკიდებლად შეიმუშავებს ტურიზმის სფეროს მართვასთან დაკავშირებულ პრაქტიკული კვლევის ხასიათის პროექტს თანამედროვე მეთოდებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.** გაუგებარია აღნიშნულ სწავლის შედეგთან ბუღალტრული აღრიცხვის სასწავლო კურსის მიმართება გაღრმავებით. გარდა ამისა დარღვეულია სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკაც. კერძოდ, სასწავლო კურსი ,,მასპინძლობის ეთიკა და მოლაპარაკებების ხელოვნება, რომელიც ისწავლება მეორე სემესტრში აღრმავებს აღნიშნულ სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსები ,,მენეჯმენტის საფუძვლები" და ,,ტურიზმისა და სასტუმროს ეკონომიკა" ისწავლება მესამე სემესტრში, აცნობს აღნიშნულ სწავლის შედეგს. ამ მსჯელობიდან გამომდინარე ჩვენ ვხედავთ სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ ლოგიკას, გაღრმავება, რომელსაც მოჰყვება გაცნობა. ვფიქრობთ ეს დარღვევა უნდა გამოსწორდეს სასწავლო კურსების მიზნების, შინაარსის და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით. მსგავსი მდგომარეობა სხვა სწავლის შედეგებთან მიმართებითაც შეიმჩნევა.

**სწავლის შედეგი 8. მსჯელობს ტურიზმის სფეროში არსებული გამოწვევების, პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ; ამზადებს ანგარიშებს და აცნობს მოპოვებულ ინფორმაციას პროფესიულ წრეებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.** აღნიშნულ სწავლის შედეგთან მიმართებით გაუგებარია რა პირნციპით ახდენს სასწავლო კურსი ,,სტატისტიკა ტურიზმისათვის" სწავლის შედეგის განმტკიცებას, მაშინ როდესაც სასწავლო კურსი ,,კვლევის მეთოდების საფუძვლები" აღრმავებს აღნიშნულ სწავლის შედეგს. ასევე გაუგებარია სასწავლო კურსის ,,ბიზნესის საფუძვლების" კავშირი მერვე სწავლის შედეგთან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სასტუმრო მომსახურების მართვა, მაგისტრატურა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სასტუმრო მომსახურების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია 9 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგები არის გაზომვადი. სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული აქტიური ზმნები. სწავლის შედეგები არის რეალისტური და მიღწევადი, ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი ადამიანური და ფიზიკური რესურსები. ასევე პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გამოყენებული ლიტერატურის ჩათვლით იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტურიზმის სფეროს დარგობრივი მახასიათებლები და ეყრდნობა კვალიფიკაციის ჩარჩოს. სწავლის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები და შეესაბამება კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

**სწავლის შედეგი 1.** ,,ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესში მართვის პროცესების, საკანონმდებლო რეგულირებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ"; გაუგებარია რა ლოგიკით ხდება სასწავლო კურსის კორპორაციათა ფინანსებით ამ სწავლის შედეგის განმტკიცება. ასვე კორპორაციათა ფინანსები, რომელიც ამ სასწავლო კურსის განმტკიცებას ემსახურება ისწავლება მეორე სემესტრში, ხოლო ტურიზმი და სასტუმრო ინდუსტრიის საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ამ სასწავლო კურსის გაღრმავებას ემსახურება ისწავლება მესამე სემესტრში. ამ ლოგიკით ჯერ ხდება აღნიშნული სასწავლო კურსის განმტკიცება, ხოლო შემდეგ გაღრმავება, რა საჭიროებს დაკორექტირებას.

**სწავლის შედეგი 2. ,,**განიხილავს საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის განვითარების პოლიტიკას, დინამიკას, ტენდეციებსა და მათ გავლენას ინოვაციური პროდუქტისა და ახალი იდეების განხორციელებისათვის“; გაუგებარია შემდეგი სასწავლო კურსების მიმართება აღნიშნულ სწავლის შედეგთან: კვლევის მეთოდები ტურიზმში, ანალიზის სტატისტიკური მეთოდები ტურიზმში. ასევე დარღვეული სწავლის შედეგის მიღწევის ლოგიკა. კერძოდ სასწავლო კურსი ,, მენეჯერული უნარები და ლიდერობა ტურიზმსა და სასტუმრო ინდუსტრიაში“ და ,,ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი“ ემსახურება აღნიშნული სწავლის შედეგის გაცნობას და ისწავლება მეორე სემესტრში, მაშინ როდესაც სასწავლო კურსი ,,ინოვაციური მენეჯმენტი“, რომელიც ემსახურება გაღრმავებას ისწავლება პირველ სემესტრში. ამ ლოგიკით ჯერ ხდება აღნიშნული სასწავლო კურსის გაღრმავება, ხოლო შემდეგ გაცნობა.

მსგავსი შეუსაბამო მიმართებები პროგრამის სხვა სწავლის შედეგებთანაც ხვდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მთის მდგრადი განვითარების და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა
- სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა
- სწავლის შედეგების შეფასების რუკა
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის დახვეწა, კერძოდ სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების მიმართების სწორად განსაზღვრა და სწავლის შედეგების მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება) ლოგიკის დაცვა.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა) | | | | |
| პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტურიზმის კლასტერში შემავალი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი მეთოდებით. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში მოცემულია შეფასების ციკლი. ყოველივე ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს, რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის, სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო და სასტუმრო მომსახურების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამებისათვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმი გულისხმობს სწავლის შედეგების შემოწმების პერიოდულობას. სწავლის შედეგებისათვის განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები, სასწავლო კურსები რომლითაც ფასდება სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასების ინსტრუმენტები. პროგრამებისათვის ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების კომპლექსური მექანიზმის მიუხედავად გაუგებარია როგორ ხდება სწავლის შედეგების ინდიკატორების რაოდენობრივი გაზომვა და მათი დაკავშირება თითოეული სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულებთან. გარდა ამისა აღნიშნულ დოკუმენტში (სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი) არ არის მოცემული თუ როგორ ხდება სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენება გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების) ჩართულობით.

ამგვარად სწავლის შედეგების მექანიზმი საჭიროებს შემდეგი მიმართულებით გაუმჯობესებას.

1. მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები;

2. მკაფიოდ განისაზღვროს სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი.
3. მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმი.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროგრამები დიდიხანია მოქმედებს ფაკულტეტზე. დაწესებულების მიერ სწავლის შედეგების შეფასების (პირდაპირი და არაპირდაპირი) შედეგები, ანალიზი და რეაგირების გეგმა არ იყო წარმოდგენილი, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ დაწესებულებას ჯერ არ აქვს სრულყოფილად ამოქმედებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)[10]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- კურიკულუმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა;

---

[10] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- რეკომენდებულია მკაფიოდ განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიიც მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში; ასევე სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემული ინდიკატორების გათვალისწინებით მოხდეს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; განისაზღვრაოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება თანმიმდევრულად სფეროს სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სახელწოდება , საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (სახელწოდება , საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (სახელწოდება , საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორივე საფეხურის (ბაკალავრიატი (2 პროგრამა), მაგისტრატურა (1 პროგრამა) პროგრამები შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და პროგრამის შინაარსი და მოცულობა

შეესაბამება სწავლების საფეხურს. უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული რედაქცია შემუშავდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ №69/ნ ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი დეტალური სფეროს აღწერის სრული გათვალისწინებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმროს მომსახურება)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, იგი 240 კრედიტით განისაზღვრა და მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (230 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (10 კრედიტი). პროგრამის შინაარსი და კურიკულუმი უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას; დაწესებულება იზიარებს მიდგომას, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და შესაბამისად, განვითარებაში ჩართულია აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული (სემესტრების მიხედვით სასწავლო კურსების განაწილება); პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები (სავალდებულო და არჩევითი საგნები, თავისუფალი კომპონენტი, პრაქტიკა/საბაკალავრო ნაშრომი) არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება; თუმცა, პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში სასწავლო კურსების შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები გარკვეულ კურსებზე (სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსები) არ არის განსაზღვრული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (,,სასტუმრო მომსახურების მართვა”)**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 120 კრედიტიანია და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად, პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს 80 (ECTS) კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს - 10 (ECTS) კრედიტი და კვლევით კომპონენტს - 30 (ECTS). პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; იგი, ამავდროულად, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული; პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს; სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის შესრულება განისაზღვრა 30 კრედიტით, რომელსაც სტუდენტები ამზადებენ მეოთხე სემესტრში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სხვადასხვა შეფასების სამაგისტრო ნაშრომები. სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის შედეგად დაგინდა, რომ კვლევის კომპონენტი სუსტად იყო წარმოდგენილი მაგისტრანტების მიერ. კერძოდ არ იყოს დაცული კვლევის პროცესის ზოგადი სქემა (ლიტერატურის ანალიზი და ჰიპოთეზების ან საკვლევი კითხვების ფორმულირება, კვლევის თეორიული ჩარჩოს და კონცეფციის ჩამოყალიბება, კვლევის მეთოდოლოგია და შერჩევის სტრატეგია, კვლევის შედეგების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ციტირების სტილიც ხშირ შემთხვევაში არ იყო დაცული. გამომდინარე აქედან ვფიქრობთ, რომ პირველი, დეტალურად უნდა გაიწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, მეორე კვლევის უნარების გაძლიერებისათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და მესამე გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი, მინიმუმ კვლევის სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

პროგრამაში სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხი.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი")

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით -ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 კრედიტს (ECTS), რომელიც ნაწილდება სავალდებულო და არჩევით კურსებზე და თავისუფალ კომპონენტებზე. პროგრამის

შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კურიკულუმი თანმიმდევრულია (სემესტრების მიხედვით სასწავლო კურსების განაწილება); თუმცა, არჩევით კომპონენტში წარმოდგენილი რამდენიმე სასწავლო კურსი სასურველია, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მოიაზრებოდეს, როგორც სავალდებულო კომპონენტი. ასევე, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში სასწავლო კურსების უმეტესობაზე დაშვების წინაპირობები არ არის ადეკვატური ან არ არის განსაზღვრული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საბაკალავრო (1) და სამაგისტრო (1) საგანმანათლებლო პროგრამები „სასტუმრო მომსახურება“ და „სასტუმრო მომსახურების მართვა“
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი“
- სილაბუსები
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების
- დანართი – საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და
- განვითარების წესი https://gtu.ge/quality/Regulation-Documents/Technical-University.php
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ" https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php
- „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია" https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_marTvis_inst_1407_22_SD.pdf
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (პროგრამა 1  საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,სასტუმროს მომსახურება")

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა: ,,სასტუმროს სერვისები, ტურიზმის და სასტუმროების ეკონომიკა, სასტუმროს მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი, კვლევის მეთოდების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვა, ტუროპერეიტინგი, MICE ტურიზმი და ღონისძიებების მენეჯმენტი, სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობა ტურიზმში, პრაქტიკა, კულტურული ტურიზმი, გარემო და ეკოტურიზმი, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი, საბაკალავრო ნაშრომი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში" განისაზღვროს ადეკვატური დაშვების წინაპირობები.

**პროგრამა 2** (სასტუმრო მომსახურების მენეჯმენტი, მაგისტრატურა

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დეტალური ინსტრუქციის გაწერა, სადაც მოცემული იქნება კვლევის განხორციელების

სტანდარტების მიხედვით კვლევის პროცესის ყველა ეტაპი (ლიტერატურის ანალიზი, ჰიპოთეზების და საკვლევის კითხვების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, ციტირების სტილი) და ასევე რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე მონიტორინგი სამაგისტრო ნაშრომში კვლევის კომპონენტების გაძლიერების მიზნით.

**პროგრამა 3** („მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი")

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილში გადამოწმდეს და სწორად განისაზღვრის სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები (გასტრონომიული ტურიზმი, MICE ტურიზმი, ტურისტული მომსახურების ხელოვნება, ბრენდმენეჯმენტი, საკურორტო ტურიზმი, ელექტრონული კომერცია ტურიზმში, ეკო-სასოფლო ტურიზმი, აგრო-ფერმერული ტურიზმი, მთის რეგიონალური ტურიზმი)

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბაკალავრო პროგრამა) | | | | |
| პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო (2) და სამაგისტრო (1) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ საბაკალავრო (2 პროგრამა) და სამაგისტრო (1 პროგრამა) საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა დაფუძნებულია ტურიზმის და მასთან მომიჯნავე დარგების აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სასტუმროს მომსახურება)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების (სასწავლო კურსები წარმოდგენილია 5 ან 6 ან 4 ან 10 კრედიტით) რაოდენობა შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს,

თუმცა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია ლიტერატურის განახლებასთან მიმართებით ქმედითი ღონისძიებების გატარება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (,,სასტუმრო მომსახურების მართვა")

სამაგისტრო პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ისე არჩევითი და თავისუფალი კომპონენტები, სასწავლო კურსების შინაარსის და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კრედიტების რაოდენობა დადგენილია სასწავლო კურსი(ებ)ს მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარს, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა/სასწავლო მასალა დაფუძნებულია ტურიზმის და მასთან მომიჯნავე დარგების აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი")

საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარს, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას; თუმცა, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი/თემატიკა საჭიროებს გადამოწმებას, რადგან გარკვეულ სილაბუსებში, როგორიცაა: ,,აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და ა.შ." ხშირია საკითხების გადაფარავა/გამეორება, ასევე მიზანშეწონილია, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება" (დანართი 1 -
- პროგრამის სწავლის შედეგი და დანართი 2 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების
- რუკა)
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურების მართვა"
- (დანართი 1 - პროგრამის სწავლის შედეგი და დანართი 2 - პროგრამის მიზნებისა და სწავლის
- შედეგების რუკა)
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის
- მენეჯმენტი" (დანართი 1 - პროგრამის სწავლის შედეგი და დანართი 2 - პროგრამის
- მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა)
- სილაბუსები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1 („სასტუმროს მომსახურება")**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**პროგრამა 3 „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი"**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, დაკორექტირდეს საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების: „აგრო-ფერმერული ტურიზმი, ეკო-სასოფლო ტურიზმი, მთიანი გარემოს ეკოლოგია, მდგრადი ტურიზმი და თანამედროვეობა, მთის მდგრადი განვითარების საფუძვლები, მთის რეგიონალური ტურიზმი, საქართველოს მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი და ა.შ." სილაბუსების თემატიკა და შესაბამისად განახლდეს ლიტერატურა.

**რჩევ(ებ)ი:**

- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ლიტერატურის განახლებასთან მიმართებით ქმედითი ღონისძიებების (მუდმივი/სისტემატური) გატარება

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება , საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება , საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება , საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება , საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება , საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო (2) და სამაგისტრო (1) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის, დაწესებულების ვებგვერდის და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. საბაკალავრო (2 პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც საჯარო და ხელმისაწვდომია, თუმცა, უფრო ზოგადი ხასიათისაა და არ არის გამჭვირვალე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სასტუმრო მომსახურება, ბაკალავრიატი)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, უსდ-ს ვებგვერდზე (პროგრამაში) მითითებულია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. თუმცა, აღნიშნული ზოგადი ხასიათისაა და არ ჩანს, რა კონკრეტული კრიტერიუმები აქვს განსაზღვრული დაწესებულებას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (სასტუმრო მომსახურების მართვა)

დაწესებულება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და პროცედურებს აყალიბებს შემდეგნაირად: ,,მაგისტრატურაში პროგრამის წინაპირობის მიხედვით, სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ორი გამოცდა - დარგობრივი მიმართულებით და „ინგლისური ენა - დონე B2“. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით”. აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და თანმხლები პროცედურები სამართლიანი,

საჯარო და ხელმისაწვდომია. უფრო მეტი გამჭვირვალობისათვის სასურველია, განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდებიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გამოცდის ვალდებულებისგან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 („მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი")**

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პირთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, როგორიცაა: ,,ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგების დაძლევას" არის საჯარო და ხელმისაწვდომი, თუმცა, პროგრამაზე დაშვების კრიტერიუმები და პროცედურები არ არის დაკონკრეტებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ
- ბრძანება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური
- უნივერსიტეტის წესდება https://gtu.ge/AboutStu/regulation.php
- სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 13 თებერვლის №01-05-04/29 დადგენილება
- „სტუ–ის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქცია"
- https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები „სასტუმრო
- მომსახურება" და „სასტუმრო მომსახურების მართვა"
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/;
- ინტერვიუს შედეგები
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებვერდი: https://gtu.ge/bef/
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის
- მენეჯმენტი"

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სასტუმრო მომსახურება, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების მართვა, მაგისტრატურა)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

- სასურველია, განისაზღვროს და გასაჯაროვდეს ,,ინგლისური ენის B2 დონის" დამადასტურებელი რომელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში თავისუფლდებიან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გამოცდის ვალდებულებისგან.

**პროგრამა 3 (მთის მდგრადი ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი)**

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები/პროცედურები და იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ტურიზმის კლასტერში გაერთიანებული სასტუმრო მომსახურების მართვის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები და მთის მდგრადი ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, საბაზისო კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სხვადასხვა მახასიათებლებით: უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები, რომელთა ფარგლებშიც ორგანიზაციები მზად არიან მიიღონ სტუდენტები და კურსდამთავრებულები სტაჟირებაზე. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანს, ხანგრძლივობასა და ხელშეკრულების მოქმედების დროს.

კვლევითი უნარების განვითარების კუთხით, საბაკალავრო პროგრამების აუცილებელი კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომი.

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობს ყველა საფეხურის სტუდენტები. გამარჯვებული მოხსენებების თეზისები იბეჭდება კონფერენციის მასალებში.

სავალდებულო თუ არჩევითი სასწავლო კურსი შუალედური შეფასების ნაწილში სთავაზობს სტუდენტს სხვადასხვა სახის აკადემიური ნაშრომის შესრულებას (პროექტები, შემთხვევის ანალიზი, პროექტის პრეზენტაცია და სხვ.), რაც ასევე ეხმარება სტუდენტს საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებაში და საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.

ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის ტურიზმისა და სასტუმროს მიმართულების სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა არაერთი ღონისძიება. კერძოდ სასოფლო ტურიზმის განვითარება მოლდოვეთში“, საქართველოს ტურიზმის განვითარების პროექტი, კავკასიის ტურიზმის გამოფენის განვითარების სტრატეგია, თბილისის ტურისტული კომპანიების კვლევა, ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, საერთაშორისო საზაფხულო სკოლა-სემინარზე ბულგარეთში, „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები სასტუმრო „გალერი პალასში“, საგანმანათლებლო ტური კახეთში, ღონისძიება - „ღვაწლმოსილი ტურიზმელები“, გახდი სასტუმროს მენეჯერი ერთი დღით.

ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის „სასტუმრო მომსახურების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტების ინიციატივით ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე: „ქართული ეკლესია-მონასტრები აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე“.

### საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები
- სტუდენტური კონფერენციები;
- სასწავლო პრაქტიკის სილაბუსი
- დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 მთის მდგრადი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 3 (სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ტურიზმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

კურსის განხორციელების პროცესში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები როგორებიცაა: დისკუსია/დებატები; თანამშრომლობითი (cooperative); ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევების შესწავლა (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); როლური და სიტუაციური თამაშები; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; წერითი მუშაობა; ახსნა-განმარტება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

პროგრამების მიზნებიდან გამომდინარე, თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდები დეტალურად წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში მათი შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

კლასტერში შემავალ ორივე პროგრამაზე სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. ორივე პროგრამაზე

სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე;

კლასტერში შემავალი საბაკალვრო პროგრამები ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, ინდივიდუალურად მოძიებული ან ხელმძღვანელის მიერ მითითებული წყაროების შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულ მსჯელობას, დასკვნის გამოტანას. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას.

ზემოთ ჩამოთვლილი სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე;

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მთის მდგრადი განვითარების და მასპინძლობის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამა
- სასტუმრო მომსახურების მართვის სამაგისტრო პროგრამა
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

